პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება

,,ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების
ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით,
უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ"
თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს
თავმჯდომარის 2013 წლის 15 თებერვლის №190 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 15 თებერვლის №190 ბრძანების საფუძველზე, 2013 წლის 7 მარტს გაფორმებული იქნა თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ №9 ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებას" (საიდენთიფიკაციო კოდის №412675396) სარგებლობაში გადაეცა ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული რიგი უძრავი ქონებები, მათ შორის ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე 2705.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი №03.02.01.444).

ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველის ქუჩა №15ა-ში მდებარე უძრავ ქონებას აქვს ორი კორპუსი. ერთი კორპუსი უჭირავთ, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს და მეორე - ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებას". ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" №22 ფილიალი განთავსებულია ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველის ქუჩა №15ა-ში მდებარე უძრავ ქონებაში (საკადასტრო კოდი №03.02.01.443), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, ხოლო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს უძრავი ქონება მდებარე ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველის ქუჩა №15ა-ში (საკადასტრო კოდი №03.02.01.444).

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1. შეტანილი იქნას ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 15 თებერვლის №190 ბრძანებაში, კერძოდ: თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 15 თებერვლის №190 ბრძანების დანართიდან ამოღებული იქნას მე-16 პუნქტი.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 15 თებერვლის №190 ბრძანების საფუძველზე, 2013 წლის 7 მარტს გაფორმებული თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ N9 ხელშეკრულების გაუქმებისა და ახალი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ სახალვაშვილი